23 46/3 ~~N 2696~~ F I N4 2696

№ 1 იანვარი 1, ხუთშაბათი 1887 იანვარი 1, ხუთშაბათი № 1

ივერია

გაზეთი ღირს

თვეე	მან. კ.	თვეე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	7 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურსა [illegible] წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1887 წელიწადი

დღესასწაულების გამო, შემდეგი ნომერი გაზეთისა გამოვა 4 იანვარს

ქალაქის თავი უმორჩილესად სთხოვს ბ-ბ ხმოსანთ, მობრძანდნენ კვირას, 4 იანვარს, დილის 11 საათზე, ქალაქის საბჭოს დარბაზში კანონით დაწესებულ ფიცის მისაღებად და ქალაქის თავის ამოსარჩევად ოთხის წლის ვადით 1887 წლიდამ 1890 წლამდე.

6-ს იანვარს 887 წელს.

ტფილისის „კუკიის" ახალ სადგურში იქნება გამართული

ბალი

ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის სასარგებლოდ.

ფასი ბილეთის 2 მანათი.

ქალებს შეუძლიათ გულ-ამოუჭრელ კაბებითაც მობრძანდნენ.

ბალი დაიწყება საღამოს 9 საათზედ

ბილეთები იყიდება კუკიის შვეიცართან. (2—1)

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 1 იანვარს,

ქ. ლეონიძის ბენეფისში,

ბანკის (არწრუნისეულ) თეატრში ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასისაგან ბ-ნ კ. მესხის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

ხათაბალა

კომედია 4 მოქმედებად და 7 სურათად, გ. სუნდუკიანცისა.

წარმოდგენის წინად ქ. ლეონიძისა და ბ-ნი მესხი წაიკითხავენ თ. ილ. ჭავჭავაძის სცენას

დედა და შვილი

მოთამაშენნი: ქქ. გაბუნია-ცაგარლისა, საფაროვი-აბაშიძისა, ლეონიძისა; ბბ. აბაშიძე, მესხი, ალექსეევ-მესხიევი, აწყურელი, და მაქსიმიძე.

დასაწყისი 7 საათზე.

პარასკევს, 2 იანვარს,

გ. ერისთავის სახსოვრად წარმოდგენილი იქნება:

ძუნწი

კომედია 2 მოქ. გ. ერისთავისა.

მეფე და პოეტი

დრამა 1 მოქმედებად

უჩინ-მაჩინის ქუდი

ვოდევილი 1 მოქ. გ. ერისთავისა.

მოთამაშენნი: ქქ. საფაროვი-აბაშიძისა, ლეონიძისა, თამაროვისა; ბბ. **მესხი**, აბაშიძე, აწყურელი, ალექ.-მესხიევი, ცაგარელი და სხვ.

დასაწყისი 7½ საათზე.

ტფილისი, 31 დეკემბერი

ესეც კიდევ ერთი წელიწადი ჩაბარდა თავის პატრონსა და საუკუნოების წინაშე წარსდგა განსაკითხად. რას ჰკითხვენ და რით იმართლებს თავს ეს ძველი წელიწადი? ამ ძველს წელიწადს წინა წლისაგან დარჩა ერთი სადავიდარაბო საქმე, რომელმანც მთელი ევროპა ააყაყანა. ფილიპოპოლში უცბად არეულობა მოხდა და ბოლგარიამ შემოიერთა მისგან ბერლინის ხელ-შეკრულობით მოჭრილი აღმოსავლეთ-რუმელია. ძმამ ძმა, ძალა-უნებურად გაყრილი, ისევ ითვის-ტომა, ისევ ოჯახში შემოიყვანა და გაყრა გააუქმა. ვის რად უნდა სწყენოდა ეს ამბავი? მაგრამ ბევრმა იწყინა. აქ ესაო, იქ ისაო, გააბეს ერთი გაუთავებელი ლაპარაკი და რომ ვერას გაჰხდნენ, მოიგონეს რაღაც კონფერენცია და ეს საქმე იმას მიუგდეს საცოხნელად. აქედამაც არა გამოვიდა-რა, აქა-იქ გარღვეულები ცოტად მიბლანდ-მობლანდეს და მიანებეს თავი მითამ და საქმე გავაკეთეთო. ვის ეწყინება მეზობლის გაძლიერება, თუ არ მეზობელსვე? ესეა თითქმის ყველგან და პოლიტიკაში ხომ გამოუკლებელია და გამოუკლებელი. აქაო და ბოლგარია გაერთდა და გაძლიერდაო, სერბიამ ხელი ხმალზედ დაიდვა, საბერძნეთმაც თოფ-იარაღი მოიმარჯვა. დიპლომატია დაფაცურდა. აქედ ატრიალეს საქმე, იქით ატრიალეს და სერბია-კი მაინც თავ-მოწონებით გამოვიდა საომრად ბოლგარიასთან, მაგრამ სლივნიცაზე გუდით ქვა ასროლინეს ბოლგარებმა და შინამდე მიჰყვნენ დევნითა. აქ ავსტრიამ შეაყენა ბოლგარია, ფეხი წინ აღარ წადგა, თორემ საქმე ჩემთან გექმნებაო. შემდგა ბოლგარია და თუმცა დამარცხებული სერბია კარგა ხანს მაინც კიდევ ბაქი-ბუქობდა, მაგრამ როგორც იყო მოურიგდა ბოლგარიას და დაწყნარდა. ახლა აპილპილებული საბერძნეთი გაუხდა ევროპას თავში საცემლად. იარეს, იარეს და სხვა ვერა ჰქმნეს-რა გარდა იმისი, რომ ხომალდებით ზღვის გზები შეუკრეს საწყალს საბერძნეთს და ასე სული შეუხუთეს. საბერძნეთმაც დიდის გულის-ტკივილით ჰნახა, რომ ძალა აღმართსა ჰხნავს, მეტი გზა არ იყო, აიღო და თვისი „მშვილდი ძირს დასდო". ესეც ჩააჩუმეს. ამ სახით დიპლომატიამ არ მიიყვანა ევროპა იქამდე, რომ ის დიდი საქმე, რომელსაც „აღმოსავლეთის საქმეს" ეძახიან, აფეთქებულიყო თავისის საშინელ ჭექა-ქუხილითა.

ყოველს ამას რომ თირკმლითები გავუსინჯოთ, შევატყობთ, რომ ვიღაცა ჰქექდა აქ ნაცარსა ცეცხლის გასაღვივებლად და ასალაპლაპებლად. აშკარაა, ვიღასაც უნდოდა ამღვრევა ქვეყნისა, ვიღასაც ჰსურდა ომი ატეხილიყო და თვითონ კი მღვრიე წყალში თევზის ჭერის მადაზედ ყოფილა. ჯერ გასატან ბურთად ფილიპოპოლის არეულობა ჩამოაგდო, ვნახოთ ვინ ვის წაეკიდება, ვინ ვის მიუდგება და მიემხრობაო. აქედამ ბევრი არა გამოვიდა-რა. ახლა სერბია წააქეზეს ბოლგარიაზედ მისასევად. არც ამან წაიტყუა ვინმე და არც აქ გამოჩნდა ის, რაც უნდოდათ. ბოლოს ხომ საბერძნეთიც ასტეხეს. აქაც ცდა გაუცუდდათ. ერთის სიტყვით, ეს მიზეზიანი საქმეები ქვეყნის მიზეზის ასამღვრევად ვერ შეიქმნა და იქნება შექმნილიყო-კი, რომ იდუმალს მომქმედს ის დაენახა, რასაც მოელოდდებოდა. იგი იდუმალი მომქმედი მაინც არ დასცხრა. თუ ამ სამ ნაირად გაჭიმულ ლარმა და ხაზმა ვერ გასჭრა, მან მაინც იმედი არ გადიწყვიტა.

ამასობაში დაჰქლია სული შარშანწინდელმა წელიწადმა. ამასობაშივე იშვა ახალი და ძველი ჭირი თან გამოიყოლა ამ მაშინ ახალმა და დღეს ძველმა წელიწადმა ანუსხა წინა წლის თამასუქები და ძალა-უნებურად სხვის ვალის გადახდა იკისრა. იდუმალი მომქმედი, რომელსაც სამივე საცდელი ერთიერთმანეთზედ გაუცუდდა, ახლა სხვა საცდელს შეუდგა კიდევ იმისათვის, რომ შეიტყოს გაუმაძღრობა და სიხარბე ვის საითკენ წაიტყუებს, ვინ ვის დაეჯახება და ამასობაში საქმე ისე მოეწყობა თუ არა, რომ მე ჩემი საკუთარი სურვილი და ნატვრა ავიხდინოვო. საიდამ არ იყო, უცბად გამოატყვრინეს ალექსანდრე მთავრის ტახტიდამ გადმობძანება და ბოლგარიიდამ გამოძევება. ევროპამ ყურები აცქვიტა და განსაცდელის მოსა-

ფელეტონი

რამდენიმე სურათი

ჩემის ყმაწვილობისა.

ოჰო, უჰ, რა რიგლა ცივა! მთელი დღე ცივი ქარი ქრის და თოვლი მოდის. კარზე ვერ გამოვსულვარ, თოვლი თვალებს მიღესავს და ცხვირპირსა მჩხვლეტს. თოვლი ირევა, ტრიალებს და წუწუნით ფანჯრებს ეცემა. რა ჩამობნელდა! აგერ ბაღჩაში ქარმა რამოდენა ნაქაალი დადო, ლობე თავამდინ გადალესა. კაკლის გამხმარი ტოტები სრულიად გათეთრებულა. საწყალი ბეღურ ჩიტები! როგორ მოკრუნჩხულან და დაღონებული აქ-იქ მიმალულან... აგერ კაკალზე შემოჯდა ყვავი, გაშალა ფრთები, საშინლად დაიყრანტალა, თითქოს ვიღასაც ეძახისო, ტოტი შეარხია,—და პამბასავით თეთრი, ფხვიერი თოვლი წამოვიდა ძირს... ცივა. ქარი ხან კარებს მოაწყდება, ზუზუნებს, ზუის, თითქოს ყმაწვილი ტირისო, ხან ბუხარში ღმუილით ჩამოვარდება და ისევ გაქრება. ქარი ცოტა ხანს [illegible], თითქოს დაიღალა და

ნებსო... ოჰ, რა კარგია ეხლა შინ ყოფნა! ვინც გარედ არის ოჰ, ვინ იცის, საწყლებს როგორა სცივათ! აი ჩვენი მოჯამაგირე გიორგა. ქალაქში გავგზავნეთ, დღეს უნდა უკან დაბრუნდეს. საწყალს ხომ შესცივა. მაგრამ თან ტყავი და ფარაჯა აქვს.

— დედი, ტყავში კაცს არ შესცივა, განა? ჩვენი გიორგა ხომ ეხლა გზაში იქნება?

დედა-ჩემს ჩემ სალაპარაკოდ არა სცალიან. გაჩქარებული ნემს უბნევს და ჰკერავს. ოჰ, რა მიხარიან: დედა საახალ-წლოდ ახალუხს მიკერავს.

— დედი, ჩქარა გაათავებ ახალუხს? ხვალ ხომ უთუოდ ახალში ვიქნები?

— აი, შვილო, ჯიბეები-ღა მიკლია, ეხლავ გავათავებ.

აგერ მამა-ჩემიც დაბრუნდა, სადღაც იყო ფულების მისაღებად. ამოიღო ჯიბიდამ ხელსახოცი და ტახტზე მთელი გროვა ფული დაყარა. ღმერთო, რა ბევრი ფული იყო,—შავი, თეთრი, ქაღალდი! თეთრი კი ყველასა სჯობდა, ისეთი ლამაზია და ბრწყინავს. ნეტავი ვინ მისცა ამდენი ფული? სადა შოულობენ ამდენს ფულსა? ერთი აბაზი მეც მაჩუქა მამამ. ძა- [illegible] ...ა...

— მოდი შვილო ახალუხი ჩაიცვი! —დამიძახა დედა-ჩემმა,—უნდა გაგსინჯო, როგორი გადგება.

ახალუხი ჩაიცვი. კარგად მადგა. რა მიხაროდა, ჯიბეებს როგორ ვისინჯავდი! თეთრი აბაზი რაღად მინდოდა,—დედა-ჩემს მივეცი.

— აი, დედი, დიდი როცა გავხდები, ბევრ ამისთანა აბაზებს მოგიტან. ფულებს როდი შევჭამ, დედი,—სულ შენ მოგიტან. ნეტავი, დედი, ფულებს როგორა სჭამენ? რომ ამბობენ, ძია ბევრს ფულსა სჭამსო,—განა ფულის ჭამა შეიძლება?

—

ცივა, ძალიანა ცივა. ცხვარი მთელი დღე ფარეხშია,—მინდორში ველარ გარეკეს. რა სიხარული მქონდა, როცა ცხვარი შინ დარჩებოდა ხოლმე. ძალიან მიყვარდა ცხვრის ბლავილი, ფრუტუნი, ხველა, ყოჩების ჭიდაობა. აი თხებიც როგორ წვერს აცამცამებენ და რქებს აჯახუნებენ! ჩვენი მეცხვარე დიმიტრა,—რა მოლექსე იყო, რა სალამურის დამკვრელი!.. არა, როგორ შევუშინდები სიცივეს, როგორ არ გავიქცე ფარეხში! იქ ხომ ისე თბ[illegible], იქ ხომ დიმიტრა ეხლა [illegible] უზის და სალამურ[illegible]

მე [illegible] ფარეხში. კარებში სალამურის ხმა მომესმა.

[illegible] შვილო დემეტრე!
წმინდა გიორგის კარები როგორ [illegible]!
გაჩახჩახე, გაჩახჩახე,
ბლიტე გაგიტეხო!..

დიმიტრამ მაშინვე იცნა ჩემი ხმა.

— შენა ხარ, ტატონე! მოდი, მოდი, კარები ღიაა. შევედი. დიმიტრი ცეცხლს მოსჯდომოდა და სალამურს უკრავდა. ოჰ, რა ტკბილად უკრავდა, როგორ აკვნესებდა. რა ძალიან მიყვარდა ამ სალამურის ხმა, სმენად გადავიქცეოდი; შორს, შორს, სადღაც მიტაცებდა ხოლმე ეს ხმა. აგერ ცხვრებსაც როგორ ხმა გაუკმენდიათ და მშვიდობიანად იყურებიან,—ეტყობა ამათაც მოსწონთ სალამური. უჰ, თხები კი რა როგად აბრიალებენ თვალებსა,—ეშმაკები არიან! აი მურია ძაღლიც აქვე წევს და სიხარულით კუდს იქნევს. რა ღონიერი იყო მურია:—ზედ შევჯდებოდი და მატარებდა ხოლმე. დიმიტრას ძალიან უყვარდა მურია. ლექსიცა ჰქონდა ამაზედ გამოთქმული:

განაცვალე ჩემს მურასა,
კუდ-გძელას და ტუჩ-მურასა;
განაცვალე—ფხიზელია,
ცხვარს [illegible]

დიმიტრის მე ძალიან ვუყვარდი, რაც უნდა მეთხოვენა, უარს არ მეტყოდა.

— ტატონე! გინდა კაკანათით ჩიტები დაიჭირო? მ გახარებული ფეხზე წამოვხტი და კისერზე ჩამოვეკიდე ჩემს დიმიტრას! მე და დიმიტრი გარეთ გამოვედით. აი გარეთ ის-ის იყო ახალი პეწივი გამოეტანათ, ორთქლი ასდიოდა. საბრალო, სიცივისაგან მოკრუნჩული და დამშეული ბეღურები გუნდად დასდებოდა ზედ. რა სიხარულის ქლავი-ქლუვი ჰქონდათ. აი ავათხეთ და კაკანათი დაუგეთ. მოვშორდით ისევ და ფარეხის დერეფანში დავიმალენით. ბეღურები ფიცხლავ ისევ ზედ დაედვნენ. მე სულ-განაბული შევცქეროდი ჩიტებს და გული მიფანცქალებდა. აი ეხლა ჩაჰკრავს ნისკარტს ჩიტი, მარცვალს მისწვდება, კაკანათის კრკალი დასხლტება, ერთის ხორბლის მარცვალით მოტყუვდება და ტყვედ ჩავარდება. რა სიხარულით მივვარდებოდი ხოლმე, როცა კრკალი დასხლტებოდა და ელდაცემული ბეღურა ფთხრიალს დაიწყებდა. ბევრი ბეღურა გავაბით ჩვენს მახეში, ბევრი მოვაშორეთ ქვეყანას... მაშინ რ[illegible]როდი და ეხლა კი ითით[illegible] [illegible]ჩხოლით საწყალს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრულნი იძახოდნენ სიხარულით: აბა თუ იქნება რამ, ეხლა უნდა იყოსო. მოსალოდნელიც კი იყო. ხოლო აქაც ზოგმა წინ წამოიწია, ზოგმა უკან დაიწია, ზოგმა ტყუილი მტვერ-ბუქიააყენა მუქარისა, ზოგმა მითამ ხმალიც მოიღერა, მაგრამ სულ ტყუილი ფახა-ფუხი გამოდგა და აქაც გაკუდდა საცდელი. იდუმალმა მომქმედმა მაინც თავისი არ დაიშალა. — რაგი ეგრეაო, სთქვა გულში: უკანვე მოვიყვან ალექსანდრე ბატენბერგელს ბოლგარიაშიო. არც მაშინ მოვლენ გულზედ ისინი, ვისაც ბოლგარიის საქმე სატკივარადა აქვთო? ატყდა ერთი ალიაქოთი, მიწერ-მოწერა, მითქმა-მოთქმა, ერთი ყოფა და ამბავი. მე ამასა ვიქმ, მე იმასაო და ბოლოს კი ის გამოვიდა, რომ დღეს ყველანი ჰფიცულობენ, არც არაფრის ქმნა გვინდოდა და არც არასა ვიქმთო. ამ ყოფაში დაჰქლია სული ამ ძველმა წელიწადმა და სატირალი თუ რამ დაჰრჩა, ახალმა უნდა იცეს თავში. ხოლო ეს კი დასახსომებელია, რომ იგი ვიღაც უჩინარი მომქმედი მაინც თავის ცდაშია დღესაც, თუმცა ყველგან მარცხი მოსდის ჯერ აქამომდე. სწორედ ეს მიზეზია, რომ ბოლგარიის საქმეს დღესაც დასასრული არ უჩანს. აბა რად გააქრობენ ამ ჩხუბის მიზეზის კერას... ამაზეა ნათქვამი აი:

სწყუროდეს, წყალსა ვინ დაჰკლვრის
კაცი უშმაგო ცნობილი?

ეს ყველაფერი ჩვენს გარედ მოხდა. ჩვენ რაღა მოგვიტანა ძველმა წელიწადმა? ნუგეშად და შინის გასამტკბურებლად რა დაგვიტოვა? ნიგოზი და თაფლი, რომ გოზინაყი გავაკეთოთ. ჩვენც გავაკეთოთ გოზინაყი და ერთმანეთს ტკბილად მივულოცოთ, ვიხიაროთ. კაცი კი რომ დაუფიქრდეს და თავის-თავსა ჰკითხოს: რა მაქვს გასახარელი, რომ ეგრე გულიანად ვხაროთო, — არა გვგონია, სიხარულს ცოტად ფრთა არ შეაკვეცოს. ხუმრობაა! თვითეულს ჩვენგანს სამას სამოც-და-ხუთი დღე დააკლდა, სამას სამოც-და-ხუთის დღით თვითეული ჩვენგანი დაუახლოვდა აუცილებელს ბედის-წერასა! წინ ეს დანაკლისია და უკან!... მარტო ნიგოზი, რომელიც კაკლის ხემ გვითავაზა, და თაფლი, რომელიც ფუტკარმა გვიწყალობა. თუ ესეა, მაშ რა გახაროთ და რა მოგილოცოთ! ნიგოზი ხომ ყოველთვისა გვქონია და გვექნება, მინამ ჩვენში კაკლის ხე ჰხარობს, თაფლიც არა გვგონია მოგვაკლდეს, თუ ქვეყანაზედ ფუტკარი არ გაწყდება. მაშ ვინატროთ, რომ ჩვენ შორის ისე იხაროს კეთილმა, როგორც ჩვენში კაკლის ხე ჰხარობს და თვითეული ჩვენგანი ისე გაისარჯოს, როგორც ირჯება ფუტკარი. მაშინ სულ სხვა ნიგოზი გვექნება და სულ სხვა თაფლი. მაშინ სამას სამოც-და-ხუთი დღე, ჩვენგან დაკლებული, ჩვენთა შემდეგთა მიემატებათ, იმიტომ-რომ იგინი უფრო ბედნიერ იქმნებიან და ერთი დღე ბედნიერებისა განა არა სჯობს მთელს სამას სამოც-და-ხუთს დღეს უქმად ჩავლილსა და გატარებულსა?

საახალწლოდ

საფრანგეთს

ვინც მე მომდევს გაუფრელად,
მეც იმასა ვზდევო.

იტალიას

ვეღარ შევიძლე მოწევა,
შევშინდი, მშვიდად დავდეო.

ინგლისს

ვინც მოგენდობის, არ ინდობ,
არცა გაქვს ერთი პირია.

ბოლგარიას

ღონე ყოველგან მომეღო,
მომაუძლურდეს ასონი;
მოყვასთა პირი მიტყხეს,
წახდა სიცოცხლის სასონი.

ავსტრიას

ახლა რა ვქნა? სად წავიდე?
გზა შემექმნა დახლართული,
ქარი ჰქრის და აფრა გაშლით
ვარ ხომალდით ზღვას შერთული.

გერმანიას.

თუ ამ ღვართ გზას არ შევუკრავთ,
მოგვიცავს, მოგვედინება;
ჩვენს თემსა სრულად წაჰლეკავს,
ბოლოდ დაგვრჩება გინება.

ოსმალეთს

მტერმან ლოდი მენ მახვედრა,
სად მოყვარემ ვარდის გონა,
ეგრედ მტერმან ვერ მატკინა,
ვით მოყვარემ დამაღონა.

**

გლადსტონს

ვის თავ-გაწირვით მოედანს
დაუდგამს ფერხთა ტანაა,
ესრედსა მხნესა სვე-ბედის
ბურთი-ვე გაუტანია.

ლორდ ჩერჩილს

ვის-ღა შესჩივი? რაცა გჭირს,
შენმავ ნაქმარმა გიწია.

ჩამბერლენს.

საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს
კარგისა მამაცისაგან.

სალისბერს

წამხდარს საქმესა რას არგებს
მერმე-ღა თითზედ კბენანი.

გარტინგტონს

ვინც ჩემის ტაბლის ნაბერტყით
მღებოდენ, ყოლე რჩებოდენ,
მის ნასუფრალსა არა ვჭამ,
თუნდ სულნიც დამელეოდენ.

გრაფს კალნოკს

ვეღარას ვიტყვი, ვეღარას!
რაცა ვსთქვი, მასცა ვინანი!..

ტისსას

თუ არა იქ, ვითა იქმნას
რაც რომ დაიქადეო.

გობლეს

ვერ მოვითმენ, რომ არ დავგმო
ალმა მსვნელსა, დაბლა მფარცხველს.

ბულანჟეს

ვინც არის ჩვენი მებრძოლი,
პირ-და-პირ გვკადროს ომია.

ბისმარკს

ვითა კლდე დამყარებული
პირობას დავმკვიდრდეო;
ქარსავით მთა-მთა ნუ დარბი,
ნურცა ქარქვეტებრ ჰქრიდეო.

მოლტკეს.

მე იგი ვარ, ვინც ძლიერსა
ტოტის კვრასა არ აკმარებს.

ალექსანდრე ბატენბერგელს

რაც რომ მაჭამე,
სულ ჩამაშხამე,
ვაი სოფელო,
ცუდ სამყოფელო!

**

„ნობათის“ რედაქციას

ვაი ჩემ თვალთა ჩენასა,
შენს უკან ჩემს დარჩენასა,
ვაიმე ამ დღის დამსწრესა,
შენს გულზედ ხელის დამკრეფსა!

ახალს გაზეთს „ცისკარს“.

თუმცა ჟამი შენ არ მოგდევს,
შენ მას მაჰყევ, რაცა სწადდეს.

ჟურნალს „თეატრს“.

იტიკტიკე ენითა უსუსურის,
იტიკტიკე ვიდრე ჟამი დაგცხრის.

ივერიას

ღმერთო, ღმერთო მოწყალეო,
არ ვინ მივის შესვენ კიდე..
მტერთა ძლევა, ზღვათა ღელვა,
ღმითო მავნე განმარიდე!

სათავად-აზნაურო ბანკს.

რასაცა გასცემ შენია,
რაც არა, დაკარგულია.

თავად-აზნაურობას

უხვადა ჰფანტე: ზღვათაცა
შესდის და გადინების...
ნუ რას ინაღვლი, თუ გაღში
მამული გაგეყიდების.

გლეხ-კაცს

იშვებდე, — გარჯას არა აქვს
ვით ზღვასა ახლო კიდენი.

კინტოს ახალ-წელიწადი

დული იბლოკი დუ...ლიიი! ახალწელიწადია! ეს ერთი წელიწადიც ჩავაბარეთ პატრონს, თავისი დაეიდარაბიანი ჯოჯოხეთის ნუგბარი ისევ უკან წაიყვანოს. სხვას რას გვეტყვის, რად წამოგვედავება? თუ იმან არ აგვყარა ნალები, ჩვენ იმისთვის არა დაგეკლია-რა! ვა! ვა! მართლა ბიჭო და რა ოხერი წელიწადი იყო! უჰ, იმისი სიფათი კი დაიქცეს! ჯერ ხომ იმითი გაგვიწყვიტა ბარაქა, რომ ამოდენა ბაღებსა და ვენახებს სულ ნაცარ-ტუტი აადინა, სულ გაახრა, ახლა შარშან ორთაჭალის ბაღებში ორჯელ ისე მქეიფეს, რომ ორ-ორი კვირა დუქნის ბალახანაში ვიწექი; სულ ცოტა რომ ვსთქვათ, ერთი ოცდა-ათი ღამეც პოლიციაში მძინებია, მოდი და ლოცვა-კურთხევა შეუთვალო, იმ ვირის-თავსა, იმასა!

არა, ჯანჯალი წელიწადი იყო, ჯანჯალი! ამას გარდა, ჯერ ერთი, რომ საბურთალო და ფიქრის გორა დაგვექცია და მეორე, ეს ოხერი ბალდახინები მოიგონეს: ამ ბალდახინებმა ხომ ზაჰლა წაიღეს რაღა, მთელი დღე სულ წკარა-წკური გაუდით, ასე გონია წყნეთიდგან ჯორებით ნახშირი ჩამოუტანიათო. ფსუს აბრუშკას ფაიტონო! ვა, მაშაკაცო! საითაც მინდა იქით მივაბრუნებ, „ნოვი სვეტში“ არ მინდა, ეშპეტაშვილის დუქანში მივაგრიალებ ფეტონს, დიდუბეში, და იქ ვიქეიფებ. ჰაგ ოხერს ბალდახინს ინდაურივითავი ბულია და სულ ერთს გზაზედ მის, ასე გონია, რამე დაუკარგავს და ჰას ეძებსო. სადაც გინდა და საქმე აქვს, იქ ჩამოხტიო. ბიჭოს! ჩამოხტომა რათ მინდა, მე ის მინდა, რომ მიტანის დუქნის კარებთან დავდგე ფაიტონით და ერთი სველი ჩარექიანი ზედ ფაიტონზედვე გადავუძახო მოუკრავში.

ამბობენ, ახალ-წელიწადს რომ რამე ინატროს კაცმა, უეჭველად აუხდებაო. მამა ცხონებათ! რაც შარშან ვინატრე, ის ხომ ამიხდა და ახლა წრეულს მოუყვები. შარშან შეითან-ბაზარი და სიახჩანა ვინატრე, ჩემი იყოს-მეთქი, მგრამ იმის მაგივრად რომ ნატვრა ამრულებიყო, შეითან-ბაზარში დუქანი გავალე და გავ-

---

რებს! განა იმათ კი სიცოცხლე არ უნდოდათ?!. განა ქვეყანა მე და იმას არ დაგვეტევა?!

სიცივემ შემიპყრო. სახე გამილურჯდა, ხელ-ფეხი დამაძრა, ფეხის თითებმა წვა დამიწყეს, მე მაინც შინ წასვლას არა ვფიქრობდი, — ისე გამიტაცა კაკანათმა.

— ტატონე, ტატონე! შეჰხედე, გულ-ყვითელა მოდის. რა კარგი იქნება, რომ გეებას კაკანათს.

მაგრამ გულ-ყვითელა ძალიან ეშმაკი ჩიტია, ადვილად ვერ მოტყუვდება. აგერ მიგოგდა, კაკანათს მიახლოვდა, დაჰხედა მარცვალს. გულ ამიტოკდა, ამიღელდა... აი ეს არის ნისკარტს დაჰკრავს და კაკანათში მოჰყვება-მეთქი... ვერა, ვერ გავაბით კაკანათში გულ-ყვითელა. ჩიტებმა ერთბაშად იფთხრიალეს და გაფრინდნენ.

თურმე ნუ იტყვით, გიორგა ქალაქიდამ მოდიოდა და დაფრთხო ჩიტები. ძალიან მეწყინა, რომ გიორგა ასე უდროოდ მოვიდა და გულ-ყვითელა დაგვიფრთხო. მაგრამ გიორგა გატენილი პირთამდინ, მოკრული ხურჯინი რომ დავინახე, გულ-ყვითელაც დამავიწყდა, კაკანათიცა, ჩემი დიმიტრიც და მაშინვე შინისკენ მოვკურცხლე.

— ბიჭო, სად იყავ? სულ მთლად [illegible]ლურჯებულხარ! — [illegible] ჩემი.

მაგრამ მე აღარაფის ვუგდებდი ყურსა. მე მარტო იმას ვუყურებდი, აბა ხურჯინიდამ რას ამოიღებენ მეთქი. რამდენი რამ მოეტანა გიორგის ქალაქიდამ! რა კარგი იყო გიორგა იმ დროს! მაგრამ საწყალს რომ შესცივნია, — აი ძლივს-ღა ლაპარაკობს. რა უშავს, აი ცეცხლზე გათბება.

დედა-ჩემს ცეცხლზე ქვაბი შედგა და გოზინაყისთვის თაფლს ადუღებდა. გიორგა მივიდა ცეცხლთან და თაფლს კოვზი მოურია. დედა ჩემი ნიგოზსა და ნუშს არჩევდა გოზინაყისთვის. მე დედა-ჩემს მოვუჯექი და ვითომ საქმესა ვშველოდი, მაგრამ, შველის მაგიერ, მგონი, უფრო ვუშლიდი.

— წადი, შვილო, შენც თაფლს კოვზი მოურიე, — მითხრა დედამ, რომ როგორმე თავიდამ მოეშორებინე.

დედა-ჩემი მარტო ვერ ასდიოდა საქმეს. მეზობლის დედა-კაცს ეფემიას დაუძახეს. კარგი დედა-კაცი იყო ეფემია, პურს გვიცხობდა და ბევრი ზღაპრებიც იცოდა. რა კარგს ზღაპრებს მეტყოდა ხოლმე. მაგრამ ეხლა კი ეფემიას ზღაპრებისათვის არ ეცალა, და, სწორედ მოგახსენოთ, არც მე მეცალა, — თვალი თაფლისაკენ მეჭირა.

გოზინაყი მოხარშეს, სინებზე გააკეთეს და გარეთ გაიტანეს, რომ კარგად გამაგრდესო. ნეტავი ეხლავე შე[illegible]ის გოზინაყ[illegible]! მაგრამ დედაჩემი მეუბნება, რომ ხვალამდინ არ შეიძლება არც „დაბერება“, არც გოზინაყის ჭამაო.

—

დაღამდა. ქარი ჩადგა, მიყუჩდა. სიცივე ცოტად მოსტყდა, მაგრამ გარედ რომ გაველი გოზინაყის სანახავად, მაინც ძალიან შემცივდა. ცა მოიწმინდა, მთვარე ამოციმციმდა და მკრთალად შემოაშუქა სახლში. საწყალი მთვარე! ნეტავი არა სცივა, რომ ამ სიცივეში ისე მაღლა დაცურავს? მე თუ კი აქა მცივა, იმას იქ როგორ არ ეცივება. აგერ, აკი იმიტომ გაცრეცილა საწყალი და ასე მკრთალად ანათებს... აგერ ვარსკვლავებიც როგორ კაშკაშებენ. ნეტავი იმათაც ახალ-წელიწადი აქვთ? აგერ ერთი ვარსკვლავი როგორ ჰახჰახებს და გოზინაყს ეთამაშება. გოზინაყს [illegible] არ დაჰხარის? შუქი ზედ კი დაჰფენია და! მეც ვუყურე, ვუყურე გოზინაყს, — ველარ მოვითმინე, მივიხედე აქედ-იქით, ხომ არავინ მხედავს-მეთქი და ერთი ორიოდ-ჯერ თითი წავკარი, მაგრამ ვერა დავაკელ-რა, ძალიან გამაგრებულიყო!...

გიორგიმ ერთი დიდი კუნძი შემოიტანა და ბუხარში შედო. კუნძს ჩქარა ცეცხლი [illegible]ედიდა და მხიარულად ლუღლუღი [illegible] გიორგიმ აილო [illegible]რთი მუგუ[illegible] [illegible]ნა კუნძს. კუნძმა ტკაცი-ტკუცი დაიწყო და ნაპერწკლები გაყარა. გიორგი უფრო ძრიელ უჩიჩხუნებდა და თან იძახოდა:

— ღმერთო, მოგვეცი ამდენი ცხვარი, ღორი, ძროხა, პური, ღვინო...

მეც, რასაკვირველია, მაშინვე მეორე მუგუზალი ავიღე, ავატკაცუნე კუნძი და ვინატრე ის, რაც გიორგიმ. გიორგი ხომ ჭკვიანი და კარგი კაცი იყო, — ყველა ამას ამბობდა, — მაშ ცუდს ხომ არაფერს ინატრებდა.

გიორგიმ გატენილი თოფი გაიტანა გარედ და დაცალა. ძველი წელიწადი უნდა გავაგდოთო, — მითხრა გიორგიმ. მეც ძალიან მინდოდა, თოფი გამესროლა, მაგრამ არ მამცეს, ჯერ პატარა ხარო, თოფს ვერ გაისვრიო. საწყალი ძველი წელიწადი! ნეტავი ისეთი ცუდი რა ჩაიდინა, რომ თოფებს ესვრიან და ისე აგდებენ. ეს ძველი წელიწადი დალმეჭილს, გამხმარ ბებერსა ჰგავსო, ახალი წელიწადი-კი ახალგაზდა, ლამაზი კაციაო. მერმისს ესეც ხომ ისე დაბერდება და ისევ თოფის სროლით გააგდებენ. ნეტავი ერთს წელიწადს ეს ახალგაზდა კაცი ისე ძალიან როგორ დაბერდება. აგერ თითონ გიორგა რამდენი წლისაა, მაგრამ ისე ძალიან გამხდარი და გამჭლევებული ბებერი რომ არ არის! არა, ეს ძველი წელიწადი სწ[illegible] იშმაკი ყოფ[illegible] სანახავი უნდა იყოს! მაგრამ ნეტავი კი მაჩვენა ეს საწყალი ბებერი!!... სოფელშიაც თოფმა ჭახა-ჭუხი დაიწყეს. ხომ კვდებ, რაღას ერჩიან ამ ძველ წელიწადს? საწყალ ბებერს რამდენი ტყვია მოჰხვდება!...

გიორგა რომ [illegible] შემოვიდა, მამა-ჩემიც თან შემოჰყვა. მამა ქურქში იყო გახვეული მივიდა გახურებულ ბუხართან და დამიძახა:

— მოდი, შვილო, რა გაჩვენო! ნახე, რა მოგიყვანე!

მამამ ქურქიდამ ამოიყვანა პატარა ბატკანი და ბუხრის წინ დასვა. თუმცა დოლლობა ჯერ ადრე იყო, მაგრამ ერთს ადრიელა ცხვარს მოეგო. საწყალი ბატკანი ფეხზე ვერა დგებოდა, ავად-მყოფივით ბარბაცებდა. გავათბეთ ცეცხლთან. საწყალი ტუჩებს აცმაცუნებდა და ბღავილით-კი ჯერ ვერა ბღაოდა.

— მამი, დედა ხომ იტირებს, რად წამოიყვანე?

გიორგიმ უკანვე წაიყვანა ბატკანი დედასთან.

—

დედა-ჩემი და ეფემი ისევ ფუსფუსებდნენ. ხილსა, ჩურჩხელებს და ტკბილ-სასმელებს ამზადებდნენ. ბოლოს როგორც იყო მორჩნენ. ღამეც კარგა გატყდა. მამა-ჩემს კარგა [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოტრდი, სირაჩხანაში კიდევ დღე ვერ გამიელია, აბრუა სირაჯისა ოთხის თუნგის ჰუჰყი მმართებს და მეშინიან, ნისია არ წამომედაოს-მეთქი. არა, ძმაო, თუ შენ თითონ არ გაისარჯე, ახალი წელიწადი ისეთი ნამარდი ჯეელია, რომ თუ ზარალი არა, სიკეთეს არას დაგაყრის! არა, ახალ-წელიწადი რომ კაი კაცი იყოს, ზამთარში მოვიდოდა! აბა ერთი რომელი ვარდი და ხეხილი ხარობს ზამთარში? ერთად-ერთი ლვიაა, რომელსაც ზამთარ-ზაფხულ ბაიყუშივით სულ ერთი ფერი აქვს და ისიც მხოლოდ მკვდრისათვის არის გამოსადეგი და გამოსაყენებელი.

მაგრამ მაინც ეშმაკს შევაფურთხებ და ვინატრებ. ვირი ხომ არა ვარ, ერთხელ რომ ტალახში ჩავარდე, მეორედ იმ გზაზედ აღარ გავიარო. შარშან თუ არ ამისრულდა, იქნება წრეულს ღმერთმა იპრიანოს და ამისრულდეს. მაშ რა ვინატრო! ეჰ, რაც გახდეს, გახდეს, ბევრს არ გამოვუდგები და სულ უბრალო რამეს ვინატრებ: ღმერთმა ისეთი სიმდიდრე მომცეს, რომ ორთაჭალის ბაღი ჩემი იყოს, შიგ ერთი ბუხმენტიანი კარავი მედგეს და რაც სირაჩხანაში ღვინით სავსე რუმბებია, სულ ამ კარავში იდგეს. კუპრია მეზურნე ბიჭადა მყავდეს და როცა ეშხზედ მოვიდე, მაშინ ავაბზუილებინო ტკბილი დუდუკი. ეს მინატრია. თუ ეს ახალი წელიწადიც შარშანდელივით თარსი და ზეთი გამოდგა, შენ კარგად იყავ, მეორე ახალ-წელიწადსაც ერთს კარგად შევუკურთხებ, ის თავისთვის და ჩ- ჩემთვის. მაშ არა და!...

ორ-ანი

ახალ-წლის მიგებება საინგილოში.

მიიწურა ძველი წელიწადი. მზე ჩაესვენა. შებინდდა. ინგილოების სოფლებში ასტყდა თოფის სროლა, ხმაურობა, ძაღლების ყეფა. მთელი სოფელი ხმად გადიქცა. რა ამბავია? ნუ თუ ლეკის შემოსევამ და სისხლის ღვრამ ასტეხა ესრეთი ღრიანცელი, ჰეკა-კუხილი?.. არა, არა, ინგილონი არც მტერს შეუშინებია და არც სისხლის ღვრას! ინგილონი ეგებებიან ახალ-წელსა.

⁂

შუა ღამეა. ყოველივე მიწყნარდა. აღარც თოფის გრიალი ისმის, აღარც ხმაურობა. მხოლოდ ხან-დის-ხან კანტი-კუნტად ჰყეფს გლეხის ერთგული დარაჯი და ჰყივიან სოფლის მამლაყინწანი. შრომისა შვილნი მისცემიან ტკბილს ძილსა.

არა სძინავთ სახლის დედა-ბერთ და ოჯახის მეთაურთ.

დედა-ბერი თითის-ტარზე გაჩქარებით ართავს ბამბის ძაფს. სახლის მეთაური ელაპარაკება დედა-ბერს და ართობს მუსაიფით. აი მორჩა დედაბერი თავის საქმესა. ადგნენ ორთავენი და ჩუმად მიდიდნენ ნამძინარევ ყმაწვილებთან, მკლავები გამოუღეს საბნებიდამ და მაჯებზე შემოუტარეს დართული ძაფი, გაკვანძეს და მოშორდნენ. ძაფი შემოახვიეს დედაბოძსაც, თუნგსაც და ყოველსავე სხვა ჭურჭელსაც. ეს ძაფი მოგვაგონებს რგოლსა, რომელიც ძველადგანვე ცნობილია, როგორც სიმბოლო ღვთის დაუსაბამობისა და ერთ-არსებისა; ამ ჩვეულებით ინგილო გამოსთქვამს თავის სურვილს, რომ ერთ-არსმა და დაუსაბამო ღმერთმა ყოველნი წევრნი ოჯახისანი და ყოველივე მათი ქონება ახალ წელიწადს შეინახოს მთლიანად, დაუზიანებლად და დაურღვეველად. ამ ჩვეულებას ინგილონი თათრობაშიაც მტკიცედ აღსრულებდნენ. ძაფის რგოლს მაჯიდამ სამ დღემდის ვერ შეიხსნიან.

⁂

გატყდა ღამე. აგერ მამლები მესამედ ჰყივიან. ცისკარმა აღმოსავლეთი წითლად შეღება. სახლის უფალთა დაალვიძეს ოჯახის წევრნი. ყველას უხარიან, ყველას უკვირს და ეკითხება თავის თავს: ისრე ჩუმად ბაბუამ როგორ შემაბა მაჯაზე ძაფი, რომ ვერ გავიგეო. იბანენ ხელ-პირსა, იცმენ ახალს წინდებსა, ქალამნებსა, ახალუხებსა და სხ. კერაზე ცეცხლს ღუღლუღი გააქვს. ერთმანერთს ემუსაიფებიან, იცინიან... უცბად გარედამ ვილაცამ კარები დაუკაკუნა: კაკ-კუკ, კაკ-კუკ! მყისვე ყველანი სმენად გადიქცნენ.

— კარ გამიღეთ?

— რა მოგაქ?—მიაძახებს დედაბერი.

— წყალი, წყალობა.

— რა მოგაქ?

— წყალი, წყალობა.

— რა მოგაქ?

— წყალი, წყალობა.

— შემოდი, კვალი შენი—კვალი ანგელოზისა.

კარს გაუღებენ და შემოვა მეკვლეე. თვით სახლის უფროსს უკისრია მეკვლეობა. როდესაც სახლში ყველამ გაილვიძა და ერთი ალიაქოთი შეუდგათ, უფროსი ადგა და გავიდა სახლიდამ, თან წაიღო თიხის ჩაფი და აბგით საკენკი. უფროსი მივიდა მდინარე წყალთან, ხელ-პირი დაიბანა, ღმერთი ახსენა, ჩაფი გაავსო წყლით, საკენკიანი თვალი აბგისა წყალში ამოასველა, თხილის კინკილოიანი (ყვავილიანი) ტოტები შემოამტერია, ამის ცარიელ თვალში ჩააწყო და დაბრუნდა შინა.

სახლში მისვლისავე უმალ ჩაფი დასდო კორთეში (ქურჭლის საწყობი თარო), თხილის ტოტები საკანზე *) დააწყო და საკენკი-კი გადააბნივ-გადასთესა სახლის ყველა კუთხეში და ამასთანავე რამდენჯერმე წარმოსთქვა: «ღმერთო, ქურმუხის საყდარო, ნუ მოგვაკლებ პურსა და სარჩო-საბადებელსა.»

საკენკის „დათესვის“ შემდეგ ყველანი მოუსხდებიან კერას. სახლის უფალი ჭერიდამ ჩამოიღებს წინა დღითვე დამზადებულს ერთ კონა ლარტას (კაკლის ტოტებს), ყველას თითო-თითო ტოტს ჩამოურიგებს, ერთსაც თვითონ აიღებს და კერას შეუტყლაშუნებს. ლარტის ნორჩი კანი სიცხისაგან ერთბაშად დასკდება და ტკაცა-ტკუცს დაიწყებს. სახლის უფალი კი ამ დროს შესთხოვს ღმერთსა: „ღმერთო, გაგვამრავლე ყველას ფრით, გაგვაბედნიერე“. ყოველივე სახლის წევრი აგრეთვე „დაატყლაშუნებს“ თავის ლარტას. ერთ ან ორ ლარტას (ტოტს) ისევ ჭერში შესდებენ... ამასობაში კიდეც გათენდება.

ახლა დაამზადებენ ხონჩას: დააწყობენ ზედ პურებსა, ნაზუქებსა, დასდგმენ ჯამით თაფლსა, ერბოსა, არიწით ღვინოსა, ბამბის წითელს და თეთრს ძაფებსა და სახლის უფალთან ერთად წავლენ ვენახის საკვლევად. მივლენ და ერთ კარგ მოსავლის მომცემ ვაზთან დადგებიან. სახლის უფალი ჯერ გასხლავს ვაზსა, მერმე ააგებს, ჰიგოების ჩარჭმის დროს ნიადაგს ღვინით მოალბობენ; იგივე უფროსი ვაზის ძირში დაჰკლავს წითელ ფრთოსან მამალსა, წითელ ფრთებს მოჰგლეჯავს და ბამბის ძაფით ამ ფრთებს ჰიგოსა და ვაზზედ მიაკრავს და თანაც იტყვის; „ღმერთო,. ქურმუხის საყდარო, შენ ნუ მოგვაკლებ ქვევრაში წითელს ღვინოსა“. თითო ლუკმა პურს ამოაწებენ თაფლსა და ერბოში, შასჭამენ, ცოტა ღვინოს მოსვამენ და შინ დაბრუნდებიან...

ბოსელს უკვლევენ ყმაწვილები. აქვე უნდა ვსთქვათ, რომ წინა დღესვე გამოაცხობენ ხოლმე საკვლევ პურებსა: სახლის უფლისათვის—წალდსა, ვაჟთათვის—ღულებსა (ნამგალი), ქალებისათვის—ჯარებსა, შესაბამ პირუტყვთათვის კოკოებსა (კვერებსა), აგრეთვე ერთ კოკოსაც სირთათვის. ვენახიდამ რომ დაბრუნდებიან, ყველა თავის პურს აიღებს, გასტეხავს და დანაყრდება. სირთა კვერს შეაგდებენ ჯინაზედ (სახლის ჩარდახის აივანზედ) და პირუტყვებისას კი, როგორც ვსთქვით, ყმაწვილები მიიტანენ ბოსელში, ყველა პირუტყვს თავ-თავის კვერს ჯერ რქებზე წამოაცმენ და მერმე გასტეხენ და შეაჭმევენ, თანაც მიეალერსებიან: „იცოცხლე დიდხანსაო“.

⁂

ახალ-წლის დღეს ინგილოებმა სადილი იციან ადრე. უფრო ქათმის წვენსა და ფლავს აკეთებენ. სადილად მოელიან გარეშე მეკვლესა, რომელიც უნდა იყოს ვინმე ბედისაგან დაუჩაგრავი ან ნათესავი, ან ნაცნობი. მინამ მეკვლე არ ეწვევათ, სხვა ვისმეს არ მიიღებენ სახლში. მეკვლე რამწამს მოვა, ჩამოიღებს ჭერიდგან ზემორე ხსენებულს ლარტას, შეუტყლაშუნებს ცეცხლში და ოჯახისათვის ისურვებს კარგ მოსავალსა, ჯანმრთელობას და დღეგრძელობას.

პატარა სადილობისას (საუზმის დროა) გაიმართება პურობა, ლხინი და სიმღერა. მღერიან თათრულად. ქართული სიმღერა მაჰმადიანთა მფლობელობის დროს სრულიად ამოფხვრილა. აქ გავრცელებულია უფრო ქოროღლის ნათქვამი სიმღერები. მღერიან ოთხ-ხუთ სიმიან ჩონგურზედ. სხვა საკრავი არ იციან.

მოსე ჯანაშვილი

სოფ. კაკი

---

*) ხისაგან გაკეთებული დიდი ყუთი, რომელშიაც ინახვენ ფქვილსა და ხორბალსაც. ქართული [illegible].

გასართობი

გამოჩენილი ექიმი, პროფესორი რიკორი, შეჰხვდა პარიჟის ერთს ბულვარზედ მარკიზს ც.

თითქმის მთელმა პარიჟმა იცოდა, რომ მარკიზი მდიდარი და ამასთან ძუნწი კაცი იყო.

მარკიზს ძალიან გაუხარდა, რომ გამოჩენილს პროფესორს შევხვდიო. ძალიან კარგი დროა! მოდი და თავს გავაშინჯვინებ, ჩემს ავადმყოფობაზე გამოვკითხავ რასმე,—აქ ხომ ფულს არ გამამართმევსო. მარკიზს არა ერთხელ და ორჯერ უქმნია ესე.

— ძალიან ავადა გარო,—ეუბნება ექიმს მარკიზი.

— რა გტკივათ?—ჰკითხავს პროფესორი, რომელსაც თავი ჰქონდა მობეზრებული მარკიზისაგან.

— გუქი მაქვს მოშლილიო.

— აბა, უნდა გაგშინჯოთ... თვალები დახუჭეთ.

მარკიზმა თვალები დახუჭა.

— ენა გამოყავით.

მარკიზმა ენა გამოჰყო.

— ნუ დამიშლით, აგრე თვალ-დახუჭული იყავით, თქვენი ენა უნდა კარგად გავშინჯო.

ჩემი, დაიძინე,—მაგრამ განა ძილი მომეკიდებოდა, ამდენს ხილს რომ შევყურებდი?

— ეფემი, ეხლა ხომ მოჰრჩი საქმესა,—გეთაყვა, ზღაპარი მითხარი,—ვეხვეწებოდი ეფემის.

— რაღა დროს ზღაპარია, შვილო-ჯან, აგერ საცაა კიდეც გათენდება. ეხლა დაიძინე, გენაცვალოს შენი ეფემია, და ხვალ ისეთს ზღაპრებს გეტყვი, ისეთს..

— არა, ეფემი, ეხლავე მითხარი,—არ ვუსვენებდი საწყალს დაღლილ-დაწყვეტილს დედაკაცს.

დედა-ჩემმა მაინც ლოგინში ჩამაწვინა. ეფემია გვერდით მომიჯდა და მოემზადა ზღაპრის სათქმელად. მე სმენად გადავიქეც. კალთაში თავი ჩავუდე და სულ-განაბული თვალებში შევცქეროდი.

— „იყო და არა იყო-რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ბებერი დედა-კაცი,—დაიწყო ეფემიამ. ბებერს ერთი ბებერი ქათამი ჰყვანდა. ბებერს ერთხელ სტუმარი ეწვია. სტუმარს ეს ქათამი დაუკლა და ჩადო ქვაბში მოსახარშავად. ხარშა, ხარშა, მაგრამ ბებერი ქათამი არ იხარშებოდა“...

ეფემია დაჩუმდა და თან დაამთქნარა. მე სულ-გაკმენდილი ყურს ვუგდებ[illegible] ეფემია სრულიად გაჩუმდა.

— რას დაჩუმდი, ეფემი,—თქვი, მერე რაღა იყო?

— ჯერ ქათამი მოიხარშოს, შვილო, და მერე გავათავებ ზღაპარსა. მეც ველოდე, ველოდე.

ქათამი როდის მოიხარშება-მეთქი, და ერთი ორჯელაცა ვკითხე: არ მოიხარშა, ეფემი. . და ამასობაში კიდეც ჩამეძინა.

აგერ ვხედავ, რომ შემოვიდა სახლში ბატკანი, ის ბატკანი, რომელიც წელან მამა-ჩემმა მოიყვანა. ღმერთო ჩემო, როგორ გამოცვლილა: წელან ფეხზე ვერა დგებოდა და ეხლა კი შემოვარდა

იცინითა, ბიცინითა,
სიცილითა, კუნტრუშითა,—

შემოვარდა, შეხტა და შემოტრიალდა. დაიწყო სირბილი, ხტუნვა და კუნტრუშობა. მივიდა ცეცხლთან, წამოჰკრა ფეხი და გადმოაგდო ქვაბი. ამოხტა ქვაბიდამ ბებერი ქათამი; ამოხტა და გაშალა ფრთები;გაშალა ფრთები, გაიფთხრიალა და მორთო: კა, კა, კა! კა, კა, კა!...

აგერ შემოვიდა ერთი ბებერი, დამჭკნარი, თვალებ-ჩავარდნილი, პირდაღმეჭილი, კბილებ-დაკრეჭილი, გამჭლევებული. ხელები ძირს ჩაეკიდნა... დიდრონი ფრჩხილები ჰქონდა...

ბატკანი დაწყნარდა, ქათამმა კაკანი შესწყვიტა. საშინელმა ბებერმა ჩემკენ გამოსწია. შემეშინდა. სახლი ცარიელია. ნეტავი სად წასულან ყველანი? წამოვხტი, მინდა გავიქცე და დავუძახო ვისმე, მაგრამ ფეხი ვერ გადამიდგამს, მუხლები მეკვეთება. ბებერი უფრო ახლო-და-ახლო მოდის, ტუჩებს აცმაცუნებს, კბილებს აღრჭიალებს. ღმერთო, ღმერთო!... აგერ ერთ კლდის პირასა ვარ. რა საშინელი კლდეა! [illegible]ერე რა სიღრმეა! აი სასაფლაოც,—ეს ხომ ჩვენის სოფლის სასაფლაოა. კლდიდამ რაღაცა ყეფა და ხმაურობა მოისმის. ღმერთო ჩემო! აქ რა მინდა? ეს ხომ საშინელი „ლეკვთა ხევია“! რამდენჯერ უთქვამთ ჩემთვის, რომ ამ ხევში ეშმაკები ბუდობენ და ახალ-წლის ღამეს საშინელს ყეფას ასტეხენ ხოლმე... აგერ ის საზარელი ბებერიც აქ მოდის, აი მოახლოვდა. ხელი უნდა მკრას, კლდეზე გადამაგდოს. მინდა დავიყვირო,—ხმა ვერ ამომიღია. გული გადამიტრიალდა, შიშმა ზარი დამცა, ტანში საშინელმა ჟრუანტელმა გამიარა...

—დედი,ვიძახი მიხრწნეულის ხმით ..

— რა იყო, შვილო, რა დაგემართა, ვინ შეგაშინა? აქა ვარ, შენ გენაცვალოს დედა!

— აგერ ბერი-კაცი კლდეზე გადაგდებას მპირებს მეთქი...

ამ დროს თვალი გავახილე... დედა ჩემი გვერდს მიჯდომოდა და მაღვიძებდა;

— ადე, შვილო, ადე, რა გაკანკალებს, ხომ არ შეგცივდა. აი ახალი ახალუხი მოგიტანე, ჩაიცვი და მოდი დაგაბერო.

მართლა ცოტად მაკანკალებდა. საშინელი სიზმარი ჯერ კიდევ გულიდამ ვერ ამომეღო. მაგრამ ახალი ახალუხი და სტოლზე ხილი და გოზინაყი რომ დავინახე, ჩქარა ყველაფერი გულიდამ გადამიარდა...

კაშკაში მზიანი დღე იყო. თოვლი ლამაზად ბრწყინავდა მზის სხივებზე. ახალ ახალუხში სიხარულით დავრბოდი ოთახში და მუსრს ვადენდი ხილსა და გოზინაყს. ახალუხის ჯიბეებს ხილით ვივსებ. მეზობლის ბიჭებს დავაბერებ. ღმერთო, რა კარგია ახალ-წელიწადი! როგორ ყველას უხარიან ჩემსავით!..

აგერ მოვიდა ჩვენი მეზობელი სესია და მოგვილოცა ახალ-წელიწადი:

შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი,
ფეხი ჩემი—კვალი ანგელოზისა!

ღმერთმა მრავალ წელს ამ დროს დაგასწროთ, ჯანის სიმრთელით და სიხარულითა.

— მოდი, შვილო ტატონე, დაგაბერო! მოიცა, ჯერ ერთი ჩურჩხელა ამოვიღო. ჩაიყო სესიამ ჯიბეში ხელი, ამოიღო გამხმარი ჩურჩხელა, წეკოში გასვრილი, მაკოცა და დამაბერა. . უჰ, რა მაგარი ულვაშები აქვს, როგორ მჩხვლეტამდა პირსა! აი მამა-ჩემს ესეთი ულვაშები არა აქვს!..

— სხვა, სხვა, სახლობა როგორა გყავთ?—ჰკითხა დედა-ჩემმა.

— ეჰ, თქვენს მტერსაც ნუ [illegible]ცეს, რაც ჩვენ უბედურება დაგვატყდა თავზე! აი ღმერთმა ამოაგდოს და ამოფხვრას ის შეჩვენებული დათუა. ნეტავი რას მერჩოდა ის ოჯახამოსაგდები, რომ ასეთი უბედურება დაატრიალა ჩემს სახლში.

დათუა ერთი უსახლ კარო კაცი იყო და მთელს თავის სიცოცხლეს მოჯამაგირობაში ატარებდა. ბოლო დროს მოჯამაგირედ სესიასთან იყო. შარშან ახალ-წელიწადს დათუა მეკვლეურად შემოვიდა თურმე სესიასთან და ასე მილოცა:

შემოვდგი ფეხი, გაგიწყრეთ ღმერთი,
ფეხი ჩემი, გაწყვეტა თქვენი!

მას უკან მართლა თითქოს გაუწყრა ღმერთი სესიას ოჯახს: ჯერ ერთი შვილი მოუკვდა და ახლა მეორეც, სოლუა, მძიმედ ავად იყო.

სოლუა ჩემი ტოლი და ამხანაგი იყო. ძალიან მეწყინა სოლუას ავადმყოფობა. იმისი ტოლ-ამხანაგები დარბიან, მხიარულობენ და ის საწყალი ლოგინში წევს და კვნესის.

ოჰ, ღმერთო! ნეტავი ახალ წელიწადს ავად არავინ გახდეს და ჩემსავით მხიარულობდეს!..

ი. ალექსან[illegible]

მარკიზი დგას თვალებ დახუჭული და ენა გამოყოფილი, რიკორი კი თავის გზას გაუდგა. კარგა ხანმა გაიარა. მარკიზს მოსწყინდა ასე „დგომა“ და თვალები გაახილა,—მერე რა ნახა? სადღაა ექიმი-პროფესორი! ამის მაგიერ დიდ ძალი ხალხი შემოჰხვევია და გაკვირვებული უყურებს მოხუცსა, რომელიც შუა ბულვარზე დამდგარა, თვალები დაუხუჭია და ენა გამოუყვია.

უხაროდეთ გონჯს ქალებს! ამ ხანებში ერთი მდიდარი კაცი გადაცვლილა ევროპაში. ამ კაცს მთელი თავისი დიდი ქონება ერთის კეთილის საქმის მოსახმარებლად დაუტოვებია. ანდერძის ძალით, თავნი უნდა ხელ-უხლებელი იყოს და სარგებლიდამ კი მზითევი უნდა მიეცეთ ქალებს, რომელნიც 30 წელს გადასულნი არიან და უთუოდ გონჯნი.

ეს ყველა ძალიან კარგი და პატიოსანი, მაგრამ ერთი კი დაჰვიწყებია ამ უცნაურს კეთილ კაცს:—ვინ უნდა გადასწყვიტოს ქალი ლამაზია, თუ გონჯი?

ბრძენი მსაჯულები. ამერიკაში ერთ მომრიგებელ მოსამართლესთან საქმე ყოფილა გასარჩევად. როცა საქმის გარჩევა გათავებულა, მომრიგებელ მოსამართლეს შემდეგის სიტყვით მიუმართავს ნაფიც მსაჯულებისთვის: „მოწყალეო, ბატონებო! ხომ გაიგონეთ, რა თქვა ბრალმდებელმა; თუ ბრალმდებელს ყველას დაუჯერებთ, ბრალმდებელი უთუოდ დამნაშავედ უნდა იცნათ და დაჰსაჯოთ. მაგრამ ამასთან თქვენ ისიც ხომ გაიგონეთ, ბრალდებულის დამცველმა რა ილაპარაკა; თუ ახლა ამას დაუჯერებთ, დამნაშავე უთუოდ უნდა გაამართლოთ. თუ, ბატონნო მსაჯულნო, ისე მოიქცევით, როგორც მე, ე. ი. არც ერთს დაუჯერებთ და არც მეორეს,—მაშინ კი, სწორედ მოგახსენოთ, მეც არ ვიცი, რას ეტყვით დამნაშავესა, როგორ გადასწყვეტავთ ამის ბედსა.“ თუ მოსამართლეს ასე ბრძნულად ულაპარაკნია, არც მსაჯულებს დაუდგენიათ ნაკლებ ბრძნული განაჩენი: „ჩვენ ბრალდებულს დანაშაულად არა ვთვლით და ამიტომ ვამართლებთ, ხოლო ამასთანავე ვაფრთხილებთ კი, რომ შემდეგში ასეთი საქმე აღარ ჩაიდინოს, თორემ მაშინ უთუოდ ციხეს გადვუწყვეტავთო“.

რით ჩამოუვარდებიან სოლომონ-ბრძენს!

დეპეშა

30 დეკემბერი

პეტერბურგი. „Правит. Вѣст.“-ი გარდაწყვეტით უარ-ჰყოფს გაზეთების ცნობას იმის თაობაზე, ვითომ უწმინდაეს სინოდს განკარგულება მოეხდინოს და ჰსურდეს მოსკოვის მიძინების ტაძარი საეპარქიო უწყების გამგეობაში გადასცეს, ვითომ ჰსურდეს აღამაღლოს საკათედრო ტაძარი მაცხოვრისა, სინოდის მგალობელთა ხორის შეუცვალოს სახელ-წოდება და დაარქვას არქიელის ხორო და სხვანი. ამ საგანზე არა თუ არავითარი განკარგულება არა მოუხდენია-რა სინოდს და ბრძანება არ გამოუცია, არამედ ფიქრადაც არა მოსვლია-რა. ამასთანავე „Правит. Вѣст.“-ი ამბობს, რომ მოსკოვის ზოგიერთს გულ-შემატკივართ [illegible] მოუსურვებიათ განსაკუთრებით თავათ მიითვისონ ზრუნვა მიძინების ტაძრის ღირსების დაცვისა, რადგან ეს ტაძარი მოსკოვის ეპარქიას კი არ ეკუთვნის და ან მთელს მოსკოვსა, არამედ სრულიად რუსეთის ეკკლესიას და შეადგენს რუსეთის საყოველთაო საწმინდესა. მის ღირსების დაცვისათვის დარაჯადა სდგას სრულიად რუსეთის მართ-მადიდებელი ეკკლესია და ყველაზე პირველად უწმინდესი სინოდი, რომელიც, რასაკვირველია, არას გზით არ ისურვებს, რომ ტოტაოდნადაც არის დამცირდეს ის პატივი, რომელიც ეშესაბამება მიძინების ტაძარსა და სრულიად რუსეთის წმინდანების საფლავთაო.

აღმოსავლეთ ციმბირის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობის აღმსრულებელს გრაფს იგნატიევს დაუმტკიცეს ზემოხსენებული თანამდებობა.

გუშინ წლიური კრება ჰქონდა სამეცნიერო აკადემიას. ანგარიშის კითხვის დროს პრჟევალსკის დიდის ამბით მიართვეს აკადემიის-მიერ მის პატივსაცემლად მოჭრილი მედალი. აკადემიკოსმა ბიჩკოვმა წაიკითხა ანგარიში რუსულის ენისა და სიტყვიერების განყოფილებისა და განმარტა, რა მოღვაწეობა და შრომა მიუძღვის ოსტროვსკისა. დასასრულ დაასახელეს ისინი, ვინც საპატიო წევრად იქმნა არჩეული. კრებაზედ დასწრებულმა დიდმა მთავარმა პავლე ალექსანდრეს-ძემ მიიღო წოდება საპატიო წევრისა. საპატიო წევრებად იქმნენ არჩეულნი: სტატს-სეკრეტარი ოსტროვსკი, ი. პოლონსკი, შენშინი და რამდენიმე უცხო-ქვეყნელი მსწავლული. წელს პირველად დაურიგეს ჯილდო აკადემიის პრეზიდენტისა, გრაფის ტოლსტოისა: ათი თხზულება იქმნა წარდგენილი ჯილდოსათვის და ამ ათში მხოლოდ სამისთვის მიეცათ ჯილდო.

პარიჟი. გუშინ ბოლგართა დეპუტატები მიიღო მინისტრთა საბჭოს თავ-მჯდომარე გობლემ. გობლე დეპუტატებს იმ გვარადვე ელაპარაკა, როგორც ფლურანსი და უთხრა, რომ საფრანგეთს პირ-და-პირი ინტერესი არა აქვს ბოლგარიის საქმეშიო. ამასთანავე საფრანგეთს არ ავიწყდება ის კავშირი, რომელიც არსებობს ბოლგარიასა და დიდთა სახელმწიფოთა შორისაო; ამ დიდ სახელმწიფოებთან საფრანგეთს მეგობრობა აქვსო. დასასრულ, გისურვებ, რომ მალე და საკეთილოდ გათავებულიყოს თქვენი საქმე, რომელიც მთელის ევროპისათვის მოუსვენრობისა და შფოთის მიზეზად გარდაქცეულაო.

გაზეთებში დაბეჭდილია წერილი შაქრის მექარხნე ხარიტონენკოსი პარიჟის გუბერნატორ სოსიესთან. ხარიტონენკო მადლობას უძღვნის სოსიეს იმ რუსეთისათვის თანაგრძნობის სიტყვების გამო, რომელიც მან წარმოსთქვა გენერალ პიტიეს დამარხვის დროს. ხარიტონენკო სთხოვს ნიშნად ძმობისა და მეგობრობისა, მიიღე ჩემგან მადლობა და სალამიო. პასუხად სოსიემ შემოუთვალა მადლობა: ის სიტყვები, რომელიც მე წარმოვსთქვი რუსეთის ქველობასა და რაინდულს მამაცობაზე, ნამდვილად ხატავს გულწრფელს გრძნობას საფრანგეთის ერისასაო.

31 დეკემბერი

ბერლინი, 30 დეკემბერს. დღეს იყო მსჯელობა რეიხსტაგში იმ კანონ-პროექტის გამო, რომელიც შეეხება გერმანიის ჯარის მომატებასა. მოლტკემ სთქვა, რომ გერმანია მხოლოდ მტრის მოგერებისათვის ზრუნავს, და ამისათვის თოფ-იარაღით ყოველთვის მზად უნდა იყოსო. თუ თითონ არ მოისურვებს, გერმანიას ომში განგებ ვერავინ შეიტყუებსო; ხოლო თუ კანონ-პროექტი უარ ყოფილ-იქმნა, ომი აუცილებელი შეიქნებაო. ბისმარკმაც წარმოსთქვა სიტყვა კანონ-პროექტის სარგებლობის დასამტკიცებლად: მან სთქვა, რა ძნელია დაცულ იქმნას ის, რაც შეიძინა გერმანიამ უკანასკნელის ომითაო. შემდეგ ბისმარკმა სთქვა, რომ გერმანია და ავსტრია დიდის ნდობით ექცევიან ერთმანერთსაო,—და საჭიროა დაცულ იქმნას მშვიდობიანობა ევროპაშიო, ხოლო ამისათვის ძლიერი ჯარი გვინდაო. ჩვენი განწყობილება ყველა დიდ-სახელმწიფოებთან ძალიან კარგია; რუსეთთანაც, ეჭვი არ არის, კარგადა ვართ: არც გერმანიასა და არც რუსეთს არა ჰსურს ჩხუბი და რა თქმა უნდა, რომ მაინც-და-მაინც გერმანია არ დაუწყებს ჩხუბს რუსეთსა. მთავრობამ როცა კანონ-პროექტი წარუდგინა პარლამენტსა, სრულიად იმასა არა ჰფიქრობდა, რომ რუსეთი და საფრანგეთი დაკავშირებას აპირებდნენო; იგივე მწერლობა, რომელიც ეხლა იმას ამბობს, რომ კანონ-პროექტის წარდგენის მიზეზი ეს კავშირიაო, ამას წინად სცდილობდა გერმანია და რუსეთი [illegible] ერთმანერთზე სამტრად გადაეკიდნა ბოლგარიის გულისათვის. მაგრამ რა არის განა ბოლგარია გერმანიისათვის? განა გერმანიისათვის სულ ერთი არ არის, ვინც გინდა იჯდეს მთავრად ბოლგარიაში? გერმანიისათვის რუსეთის მეგობრობა უფრო დიდი რამ არის. მეგობრად ყოფნა დიდ სახელმწიფოებთან უფრო ძნელია, ვიდრე ჰგონიათ, ძნელია მეტადრე საფრანგეთთან, საცა წარსული ჯერ დავიწყებული არა აქვთ. გერმანიამ ყოველივე მოიქმედა, რაც კი შეიძლებოდა გერმანიისა და საფრანგეთის მეგობრობის აღდგენისათვის. გერმანიას არა ჰსურს ომი საფრანგეთთან, თუმცა არც უფრთხის ამ ომსა; ყოველ შემთხვევაში გერმანია თვით არ დაესხმის თავს საფრანგეთსა, მაგრამ ვალდებული კია მზად იყოს მუდამ და ყოველ-ჟამს. ეს არის მიზეზი, რომ კანონ-პროექტი წარედგინა პარლამენტსა. აბა, იფიქრეთ, რა მოუვა გერმანიას, თუ იგი იძლია? აი ამიტომ მთავრობა უკან არ დაიწევს და რასაც ითხოვს, იმასვე მოითხოვს და პარლამენტს არას არ დაუთმობს. იმპერატორს არ შეუძლიან უარ-ჰყოს ისა რაც ერთად-ერთს საგნადა ჰქონდა მთელს თავის სიცოცხლეში დასასრულ, ბისმარკმა სიტყვა იმაზედაც გადაუკრა რეიხსტაგს, რომ თუ კანონ-პროექტს არ შეიწყნარებთ პარლამენტი დათხოვნილ იქმნებაო.

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—**14.**

იანვარი 31 დღით არის.

1 დღე ხუთშაბათი. უქმ. დღეობა წინა-დაცვეთისა უფლისა; წმ. ბასილ კესარიელ მამა-მთავრისა.—ახალი წელიწადი.—კათოლ. წინა დაცვეთა უფლისა, ეპისკ. ფულგენცია და მეჩისლავა. სომეხ. ახალი წელიწადი, მესამე დღე შობის მარხვიდგან. მუსულ. 20 რიცხვი თთვისა რები-ულ-ახირისა 1304 წ. ჰიჯრისა, ჭეშმარიტი შუა-დღე 12—9—0. ტფილისში მზე ამოდის 7—26, ჩადის 4—51. მთვარე ამოდის 9—38 სალ. 19 დღისაა.

2 დღე პარასკევი. წმ. სილიბისტრო მამა-მთავრისა, კათოლ. მაკარისა და ისიდორესი, ჭეშმარიტი შუა-დღე 12—9—0. ტფილისში მზე ამოდის 7—26, ჩადის 4—52; მთვარე ამოდის 10—48.

3 დღე შაბათი. წმ. მალაქია წინასწარ.-მეტყვ. კათოლ. დანიელ და გენევეფისი. სომეხ. წმ. ვასილი მამა-მთავრისა და სხ. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—10—0. ტფილისში მზე ამოდის 7—26, ჩადის 4—54; მთვარე ამოდის 11—56 სალ.

4 დღე კვირა. წმ. 70 მოციქულთა. მოწ. ზოსიმესი, ათანასე და ესტატესი. კათოლ. ეპ. ტიტესი, გრიგოლ და ბენედიქტესი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—10—0. ტფილისში მზე ამოდის 7—25, ჩადის 4—55. მთვარე ამოდის 1—3 დილ.

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

16 დეკემბრიდამ 1 იანვრამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5 კაპ.
წითელი პური 1-ის ხარისხისა .	3
› 2 ›	2½ ›
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	5 ›
› › 2—	3½ ›
› › 3 ›	3 ›
ჯვარის მამის პურის ლავაში	
1-ლის ხარისხისა . .	5 ›
მე-2 ხარისხისა . .	4 ›
მე-3 — . . .	3½ ›
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	7 ›
› 2 ›	6 ›
სუკი. . . .	13 ›
ცხვრის ხორცი . . .	7 ›
ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა.	6 ›
› 2 ›	5 ›

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით საშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკს და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით, იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მისწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემს

შაბათობით დილის 9 საათზე და მისწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს გადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭირო ფოთშიაც [illegible]

რუსეთის სანავოსნო საზო [illegible] სააგენტო იმყოფება სასახ [illegible] არწრუნისეულს [illegible] ში, №

პეტერბურგის ბირჟა, 30-ს დეკემბერს 1886 წ.

ფასები:

	მსყიდველისა	გამსყიდველისა	გაყიდულისა
ხუთ მანათიანი ოქრო	—	—	8 მ. 76 კ.
ტამოჟნის კუპონები.	—	—	170½ მან.
5% პირველის შინაურის სესხის მოგები ბილეთი	—	—	250 მან.
— მეორისა	—	—	228 მან.
გირავნობის ფურცელნი:			
ტფილისის ბანკისა	—	—	—
ქუთაისის ბანკისა	—	—	—

განცხადებანი

გორის სასულიერო სასწავლებლის სამმართველოში, რადგანაც უწინდელი ვაჭრობა არ შესდგა, დანიშნულია, 23 იანვარს 1887 წლისას, პირველი საათი რომ შესრულდება, ახალი ვაჭრობა განუმეორებლად, ზეპირისა და დაბეჭდილის კონვერტით, შესახებ შენობებისა, რომელნიც უნდა აშენდნენ გორის სასულიერო სასწავლებლისათვის და რომელთა ასაშენებლად დანიშნულია სამოც-და-რვა ათას ას ოთხმოც-და-თოთხმეტი მანეთი და ერთი აბაზი (68194 მ. 20 კ.). პირობანი ამ ვაჭრობისა და სმეტა შენობებისა მსურველთ შეუძლიანთ ნახონ სასწავლებლის სამმართველოში და ეგზარხოსის კანცელარიაში. სასწავლებლის სამმართველოში სმეტა და პირობანი მსურველთ შეუძლიანთ ნახონ ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა, დილის რვა საათიდამ საღამოს ორ საათამდის.

ვაჭრობის მსურველნი მოვალენი არიან, სანამ დილის თორმეტი საათი შესრულდება, შემოიტანონ სასწავლებლის სამმართველოში განცხადება მასზედ, რომ მიუშვან იგინი სავაჭროდ და მასზედ, რომ მათა სურთ აიღონ ფოდრათი პირობათა თანხმობით. ვადად შენობების გათავებისა და ჩაბარებისა დანიშნულია პირველი დღე აგვისტოსი 1888 წლისა. (3—1)

კანცელარია და ბიბლიოთეკა „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა“ ღია არის: საღამოთი ყოველ-დღე, კვირას გარდა, 4—6 საათამდე; ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს დილით 8—10-მდე; კვირაობით დილის 11—1 საათამდე საღამოსი. (10—6)

დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისის ყველა წიგნის მაღაზიებში

ლექსნი

თქმულნი მეფის თეიმურაზ (1591—1665) პირველისაგან, გამოცემული ზ. ჭიჭინაძისა. ფასი 30 კაპ. (3—3)

ახალი წიგნი

(რუსულს ენაზედ)

„კერძო და საადგილ-მამულო უფლ ბანი ძველს საქართველოში“. I გამ ცემა. ფასი 35 კაპ. ისყიდება ტფილის წიგნის მაღაზიებში. (50—32)

Дозв. ценз. Тиф. 31 декабря, 1886 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Караван-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭა